



## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

#### მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

14 მაისი, 2018 წელი

ქ. თბილისი

#### დისციპლინური საქმე №159/17

-- 2017 წლის 12 სექტემბრის №159 საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -  
- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 27 აპრილის №159/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 14 მაისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

**1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:**

საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ 2016 წლის 02 ნოემბერს ბრალი დაედო საქართველოს სსკ 126<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

-- განცხადებით, 2016 წლის 27 დეკემბრიდან ზემოაღნიშნულ სისხლის სამართლის საქმე არსებითად განსახილველად გადაეცა -- სასამართლოს მოსამართლეს - --

საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსამართლე ხელოვნურად აჭიანურებს საქმის განხილვას,

ამასთან, მოსამართლე არ იცავს შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპს, კერძოდ მოწმე -- დაკითხვის დროს არ მიეცა შესაძლებლობა ამომწურავად დაესვა კითხვები დასაკითხი მოწმისთვის.

-- შეფასებით, 2017 წლის 22 მაისის სასამართლო პროცესზე, მოსამართლემ ბრალდებულის პიროვნებისადმი გამოხატა საკუთარი პოზიცია, რითაც დაარღვია უდანაშაულობის პრეზუმფცია.

ზემოაღნიშნულის გარდა, საჩივრის ავტორი მოსამართლე -- ადანაშაულებს ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაციაში არასწორი ინფორმაციის შეყვანაში.

## **2. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:**

-- 2017 წლის 12 სექტემბრის №159 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- მიერ „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია).

## **3. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

ქ. თბილისის -- რაიონული პროკურატურის სტაჟიორ-პროკურორის -- 2016 წლის 04 ნოემბრის დადგენილების საფუძველზე, -- ბრალი ედება საქართველოს სსკ 126<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

ზემოაღნიშნული სისხლის სამართლის საქმე (საქმე N1/5400-16), 2016 წლის 15 დეკემბრიდან არსებითად განსახილველად გადაეცა -- სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლეს --

სასამართლო სხდომის ოქმების ანალიზიდან ირკვევა, რომ ზემოაღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე პირველი სხდომა ჩატარდა 2016 წლის 27 დეკემბერს და აღნიშნული დროიდან, პერიოდულად იმართება სასამართლო პროცესები, მათ შორის, სასამართლო პროცესი გაიმართა 2017 წლის 22 მაისსაც. ბოლო სხდომა გაიმართა 2017 წლის 30 ოქტომბერს და პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე სხდომა გადაიდო სხვა დროისთვის (დასკვნის მომზადების პერიოდისათვის არსებული მდგომარეობა).

2017 წლის 12 ივნისის სასამართლო სხდომაზე, მოწმის სახით დაიკითხა გამომძიებელი -- ჯვარედინი დაკითხვის ფარგლებში, ბრალდებულს და მის ადვოკატს მიეცა შესაძლებლობა თავისუფალ რეჟიმში ეწარმოებინათ გამომძიებლის დაკითხვა. ჯვარედინი დაკითხვის ერთ-ერთ ეპიზოდში, მოსამართლემ ბრალდებულის თხოვნაზე, რომ მას ჰქონდა კითხვა გამომძიებელთან, მოსამართლემ განუმარტა, რომ კითხვა დაესვა გამომძიებლის მიერ სასამართლოსთვის მიწოდებული ინფორმაციის ფარგლებში. აღნიშნული განმარტების შემდეგ, ბრალდებულის ადვოკატმა სასამართლოს განუცხადა, რომ დაცვის მხარეს კითხვები აღარ ჰქონდა.

#### **4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მიეცეს მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - „საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება“.

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება, როდისა და რა დროს ჩაითვალოს საქმე გაჭიანურებულად და რას გულისხმობს ტერმინი „უსაფუძვლო“. აღნიშნულ გადაცდომასთან დაკავშირებით, დამატებითი განმარტებებს არ გვაძლევს შიდა კანონმდებლობა, ამასთან, არც სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის არსებული გადაწყვეტილებები იძლევა აღნიშნული საკითხის განზოგადების შესაძლებლობას.

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო უსაფუძვლო გაჭიანურებაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის ფარგლებში აღიარებულია, გონივრულ ვადაში საქმის სასამართლო განხილვის უფლება. დანაწესი მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ ბრალდებულ პირებს არ მოუწიოთ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბრალდებულის სტატუსში ყოფნა და ბრალეულობის საკითხზე გადაწყვეტილება დროულად იქნას მიღებული (*Wemhoff v Germany*, § 18; *Kart v. Turkey*[GC], § 68).

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (König v. Germany; §98).

განსახილველ შემთხვევაში საჩივრის ავტორი ერთ-ერთ გარემოებად მიუთითებს, რომ მოსამართლე ხელოვნურად აჭიანურებს არასაპატიმრო სისხლის სამართლის საქმის არსებით განხილვას. აღნიშნულთან მიმართებაში, მნიშვნელოვანია შეფასდეს დარღვეულია თუ არა საქმის არსებითი განხილვისთვის კანონმდებლობით დადგენილი ვადა.

საქართველოს სსსკ-ის 185-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გამოაქვს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ საქმის არსებითი განხილვისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 24 თვისა. ამასთან, საქართველოს სსსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია პრიორიტეტულად განიხილოს ის სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა.

საქმის მასალების დეტალური შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მოსამართლე -- არასაპატიმრო სისხლის სამართლის საქმე არსებითად განსახილველად გადაეცა 2016 წლის 15 დეკემბერს. შესაბამისად, საქმის განხილვის გაჭიანურებაზე მსჯელობა ამ ეტაპზე ვერ განხორციელდება, ვინაიდან, მოქმედი საპროცესო ნორმების თანახმად, სისხლის სამართლის საქმის განხილვის 24 თვიანი ვადა არ ამოწურულა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საქმის განხილვის მიზნით, ამ დროისთვის ჩატარდა არაერთი სასამართლო სხდომა და გამოკვლეულია მტკიცებულებათა ნაწილი, ამდენად, განსახილველ შემთხვევაში არ იკვეთება მოსამართლის მიერ საქმის განხილვის „უსაფუძვლო“ გაჭიანურების ფაქტი.

-- საჩივარში ასევე უთითებდა, რომ მოწმის -- დაკითხვის დროს მას არ მიეცა კითხვების ამომწურავად დასმის შესაძლებლობა.

სასამართლო სხდომის აუდიო ჩანაწერების დეტალური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მოსამართლე საქმის განხილვის პროცესში მოქმედებს შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის დაცვით, მხარეებს ეძლევათ თანაბარი შესაძლებლობები დაიცვან და წარმოადგინონ საკუთარი ინტერესები სასამართლოში.

საჩივრის ავტორის განმარტება, რომ მას არ მიეცა მოწმე -- კითხვების ამომწურავად დასმის შესაძლებლობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მოწმის ჯვარედინი დაკითხვის დროს, მოსამართლემ ბრალდებული კითხვის დასმის წინ შეაჩერა და განუმარტა განმეორებითი

ჯვარედინი დაკითხვის წესი. კერძოდ, მოწმის -- განმეორებით პირდაპირი დაკითხვის დასრულების შემდეგ, ბრალდებულის მიერ მოსამართლის მიმართ გამოთქმულ თხოვნაზე, რომ მას აქვს კითხვა მოწმესთან მოსამართლემ ბრალდებულს განუმარტა, რომ კითხვა დაესვა ჯვარედინი დაკითხვის ფარგლებში, პირდაპირი დაკითხვის დროს დასმული კითხვიდან გამომდინარე, შესაბამისად, საქართველოს სსსკ 246-ე მუხლიდან გამომდინარე, მოსამართლე მოქმედებდა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

კერძოდ, საქართველოს სსსკ 246-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ხელახალი პირდაპირი დაკითხვისას მხარე შეზღუდულია ჯვარედინი დაკითხვის ფარგლებით, ხოლო ხელახალი ჯვარედინი დაკითხვისას - ხელახალი პირდაპირი დაკითხვით.“

სასამართლო სხდომის 2017 წლის 22 მაისის ვიდეო ჩანაწერის შესწავლის შედეგად, ასევე არ იკვეთება მოსამართლის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. კერძოდ, ვიდეო ჩანაწერის ანალიზის შედეგად ნათელია, რომ 2017 წლის 22 მაისის სხდომაზე მოსამართლემ დაადგინა ბრალდებულის ვინაობა. ბრალდებულმა სასამართლოს მოახსენა მისი სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, საცხოვრებელი მისამართი. ამასთან, განმარტა, რომ წარსულში არ არის ნასამართლევი და აქვს უმწიკლო წარსული. აღნიშნული ფრაზის დასრულებისას მოსამართლემ ბრალდებულს დააკონკრეტებინა წარმოთქმული სიტყვები. აღნიშნულის შემდეგ, ბრალდებულმა კვლავ გაიმეორა უმწიკლო წარსული, რის შემდეგაც მოსამართლემ წინასწარი, საკუთარი დამოკიდებულების გამომხატველი ინტონაციის გამოყენების გარეშე, გაიმეორა ბრალდებულის მიერ დაზუსტებული სიტყვები და განაგრძო ბრალდებულის მიმართ კანონით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედებები.

რაც შეეხება, საჩივრის ავტორის მიერ მითითებულ კიდევ ერთ გარემოებას, რომ მოსამართლემ განახორციელა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის არასწორი მითითება. აღნიშნულთან მიმართებაში მნიშვნელოვანია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქ/პუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის სახეს და შესაბამისად დამოუკიდებელი ინსპექტორის შესწავლის საგანს წარმოადგენს კორუფციული სამართალდარღვევა ან თანამდებობრივი მდგომარეობის მართლმსაჯულებისა და სამსახურებრივი ინტერესების საზიანოდ გამოყენება. კორუფციულ სამართალდარღვევად ჩაითვლება „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დარღვევა, თუ იგი არ იწვევს სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „კორუფციული სამართალდარღვევა“ არის ქმედობა, რომელიც შეიცავს კორუფციის ნიშნებს და რომლისთვისაც კანონით

გათვალისწინებულია დისციპლინური, ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

განსახილველ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილი ინფორმაცია არ შეიცავს მოსამართლის მხრიდან კორუფციული სამართალდარღვევის ან თანამდებობრივი მდგომარეობის მართლმსაჯულების ინტერესების საზიანოდ გამოყენების ნიშნებს.

საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილ მოსამართლის ქონებრივი დეკლარაციებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მიღებას, შესაბამისი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის საჯაროობას, დეკლარაციის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ჩაბარების კონტროლს უზრუნველყოფს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს ასრულებს საჯარო სამსახურის ბიურო, რომელიც გამოსცემს შესაბამის სამართლებრივ აქტს.

#### **5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 75<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 14 მაისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75<sup>10</sup>-ე მუხლის მე-5 პუნქტით და 75<sup>12</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

დისციპლინურ საქმეზე №159/17 მოსამართლე -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

**გიორგი მიქაუტაძე**

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი